



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა



KA000075626674217

5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1

ტელ: 5(99) 856 577

ელ.ფოსტა info.gamgeoba@gmail.com

№ 1300-ს

02 / ნოემბერი / 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„საპატიო ჩხოროწყუელის“ წოდების მინიჭების შესახებ


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის“, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლისა და „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 ოქტომბრის #35 დადგენილების შესაბამისად ვბრძანებ:

1. მიენიჭოს „საპატიო ჩხოროწყუელის“ წოდება ქვემოთჩამოთვლილ პირებს:
 - ა. თეონა ცირამუა-გორის ქალთა კამერული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი, წარმოშობით ჩხოროწყუელი;
 - ბ. ჯემალ შენგელია- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოდის საჯარო სკოლის დირექტორი;
 - გ. ნაპოლეონ ლემონჯავა-ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთისა და ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი, წარმოშობით ჩხოროწყუელი;
 - დ. ნუნუ ქებურია- კულტურის დამსახურებული მუშაკი, შრომის ვეტერანი, პენსიონერი;
 - ე. გურამ თოდუა -ღვაწლმოსილი მუშაკი, შრომის ვეტერანი, პენსიონერი, ვეტერანთა რაიონული საზოგადოების თავმჯდომარე;
 - ვ. გერონტი მამფორია- ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორი, მწვრთნელი;
 - ზ. გურამ მალანია-მხატვარი, კულტურის დამსახურებული მუშაკი, შრომის ვეტერანი;
 - თ. შაჰან თოდუა- განათლების სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, შრომის ვეტერანი, პენსიონერი.

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან

ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12)

A handwritten signature in black ink, consisting of several loops and a final flourish.

გამგებელი

დათო გოგუა